საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგილაშვილი ვახტანგ ნიკოლოზის ძე

გოგილაშვილი ვახტანგ ნიკოლოზის ძე (დ. 20. XI. 1933, თბილისი), ინჟინერი მანქანათმშენებლობის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1991).

1957 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის მექანიკის ფაკ-ტი მანქანათმშენებლის სპეციალობით. 1960-იდან დღემდე ეწევა პედ. საქმიანობას საქართვ. ტექნიკურ უნ-ტში მექანიზმებისა და მანქანების თეორიის კათედრაზე. 2005-იდან არის კათედრის გამგე.

გ-ის სამეცნ. კვლევები ეხება მექანიკურ სისტემებში ენერგიის დანაკარგების შესწავლას; რთული სტრუქტურის ჯაჭვური სისტემების დინამ. ანალიზსა და სინთეზს; კოსმოსური ბაზირების ტრანსფორმირებადი სისტემების გაანგარიშებისა და დაპროექტების საკითხებს.

მონაწილეობდა პირველი ქართ. კოსმოსური ობიექტის – დიდი გასაშლელი რეფლექტორის – ღია კოსმოსში გაყვანის ექსპერიმენტში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: ტრანსფორმირებადი სისტემების სტრუქტურული და კინემატიკური სინთეზი, თბ., 2009 (თანაავტ.).